

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, აგრარულ საკითხთა და ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის, სოფელ სილაურის მაჟორიტარი დეპუტატის გოჩა კილაძის მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში**

წინამდებარე ანგარიში შედგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად და იგი მოიცავს პერიოდს 2017 წლის 27 ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წარდგინებით მივიღე მონაწილეობა და გავხდი საკრებულოს წევრი სოფელ სილაურის ადმინისტრაციული ერთეულიდან.

2017 წლის 27 ნოემბერს საკრებულოში არჩეული ვიქენი აგრარულ საკითხთა და ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარედ.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ვანხორციელებდი საკრებულოს ორ მუდმივმოქმედ კომისიაში. 1). აგრარულ საკითხთა და ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების საკითხების რომლის თავმჯდომარედ ვარ და 2) სამანდატო საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის ~~კომისიის~~ ამავედროულად ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი.

სულ საანგარიშო პერიოდში მივიღე მონაწილეობა საკრებულოს როგორც რიგით ასევე რიგგარეშე სხდომებში 20-ჯერ, ბიუროს სხდომებს 22-ჯერ, ჩემს მიერ საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილებით და საკრებულოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული გრაფიკით როგორც აგრარულ საკითხთა და ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ ჩავატარე 25-ი სხდომა, რომელზეც განვიხილეთ ყველა ის საკითხი რომელიც საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე გავიდა განსახილველად და დასამტკიცებლად, კომისია განხილულ საკითხებზე იღებდა შესაბამის გადაწყვეტილებებს რომელიც აისახებოდა კომისიის სხდომის ოქმებში (შეგიძლიათ ნახოთ საკრებულოს ოფციალურ ვებ-გვერდზე). აგრეთვე დავესწარი სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომას 7-ჯერ და ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ 11 -~~ე~~ სხდომას, 8-ჯერ ვმონაწილეობდი საკრებულოს თავმჯდომარის და 2-ჯერ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის მიერ მოწვეულ თათბირებში და სამუშაო ჯგუფების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში, სამუშაო შეხვედრებსა და კონსულტაციებში 7-ჯერ მივიღე მონაწილეობა. საანგარიშო პერიოდში 15-ჯერ შევხვდი საკრებულოს წინაშე ანგალიშვალდებულ პირებს, მათ შორის : მუნიციპალიტეტის სამახურის უფროსებს.

მონაწილეობა მივიღე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ტრენინგ-სემინარებში, სულ 4 შეხვედრაში.



- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცება.

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018-2022 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცება.

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2019-2020 წლებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების.

- კურიორტ გომისძეთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის დასამტკიცებლად დაკავშირებული ღონისძიებების შემუშავებაში;

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“.

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დამტკიცება.

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ.

აგრეთვე საკრებულოს სხვადასხვა მიღებულ განკარგულება/დადგენილებებში რომელიც აისახება ჩემს მიერ საკრებულოს სხდომებზე დასწრებით.

მე როგორც საკრებულოს წევრი გავაგრძელებ აქტიურ მუშაობას საკრებულოსთან, მუნიციპალიტეტის მერიასთან და სოფლის ამომრჩევლებთან. რათა 2019 წელი უფრო წარმატებული გახდეს სოფლისთვის.

და ბოლოს მადლობა მინდა გადავუხადო საკრებულოს მთლიან შემადგენლობას და საკრებულოს აპარატს თანადგომისათვის.

საკრებულოს წევრი,  
აგრარულ საკითხთა და ქონების მართვის,  
ბუნებრივი რესურსების საკითხების  
კომისიის თავმჯდომარე  
სოფელ სილაურის მაჟორიტარი დეპუტატი  
გოჩა კილაძე  
26.02.2019 წ